საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №1193
2026 წლის 12 მარტი

ქ. თბილისი

„ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესისა და პროცედურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2025 წლის 17 დეკემბრის №1139 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესისა და პროცედურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2025 წლის 17 დეკემბრის №1139 ბრძანებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 17/12/2025, სარეგისტრაციო კოდი: 010240030.22.027.017623) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ წესისა და პროცედურის დაცვით შედგენილი მოსამართლეობის კანდიდატების სია ევროპის საბჭოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით წარედგინოს არაუგვიანეს 2026 წლის 30 სექტემბრისა.“.

2. ბრძანებით დამტკიცებული წესისა და პროცედურის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეისთვის წარდგენის მომენტისათვის იქნება 65 წლამდე ასაკის;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **პაატა სალია**